სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 ივლისი, 2024 წ.

ბრძანება N 01-02/120

ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები" დაფუძნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024წ.), ,,ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო დებულების დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს 2023 წლის 22 აგვისტოს №06-01/94 დადგენილების, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის 2024 წლის 16 აპრილის №431938, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 12 აპრილის №420296 და 11 ივლისის №847701 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **დაფუძნდეს** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი** სახელწოდებით **,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები'** (**დანართი 1**).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის ,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები" **<u>სარედაქციო საბჭოს</u>** <u>შემადგენლობა,</u> მათ შორის ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ტექნიკური რედაქტორი, ასევე ჟურნალის **რედაქციის შემადგენლობა (დანართი 2).**
3. ბრძანების ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, ბსუ-ს გამომცემლობას, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სხვა სტრუქტურულ ერთეულებს და სარედაქციო საბჭოს წევრებს, ჟურნალის რედაქციის წევრებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №32).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის

,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები'' დაფუძნების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 15 ივლისის N 01-02/120 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები"

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი") საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი **,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები''** (შემდგომში - ჟურნალი) **დაფუძნებულია** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (2024 წლის ივლისი), ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს 2023 წლის 22 აგვისტოს №06-01/94 დადგენილებით დამტკიცებული ,,,ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო დებულების" მოთხოვნათა დაცვით.
2. ჟურნალი დაფუძნებულია ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის" ინიცირებით და შეესაბამება ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024 წ.) მიზანს - ,,მიზანი 3. უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის", ემსახურება ამ მიზნის განხორციელებისათვის დასახული გზის გავლასა (3.1. უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება) და ამოცანის მიღწევას (ამოცანა 2. მაღალრეიტინგული ჟურნალი: უნივერსიტეტი ჩამოაყალიბებს ავტორიტეტულ სარედაქციო კოლეგიას უცხოელ ექსპერტთა ჩართვით და უზრუნველყოფს რეცენზირებადი ჟურნალის გამოცემას მიმართულებების მიხედვით).
3. **ჟურნალის სახელწოდება:** ქართულ ენაზე - **,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები",** ინგლისურ ენაზე - **„BSU Niko Berdzenishvili Institute. Collected Papers".**
4. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები" წარმოადგენს საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად პერიოდულ გამოცემას. ჟურნალს აქვს საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი პერიოდული გამოცემებისთვის.
5. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ორჯერ, ქართულ და ინგლისურ ენაზე.
6. ჟურნალის ოფიციალური ვებგვერდია - www.Ojs.bsu.edu.ge;
7. ჟურნალის ელექტრონული ფოსტა - - nbi_cp@bsu.edu.ge

8. ჟურნალის სარედაქციო საქმიანობა წარიმართება ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის" სამუშაო ადგილზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32).
9. **ჟურნალის მისიაა** სოციალური, ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური კვლევების შედეგების გაშუქება და ინტერნაციონალიზაცია, თანამშრომლობა ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან, აკადემიური დისკუსიისთვის ხელშეწყობა, სამეცნიერო მიღწევების გაცნობა ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეებისთვის და მეცნიერების განვითარებაში წვლილის შეტანა.
10. **ჟურნალის მიზნებია:**

    ა) სოციალური, ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური მიმართულებით აქტუალური საკითხების, კვლევის შედეგების წარმოჩენა, ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეებისთვის სადისკუსიოდ გამოტანა;

    ბ) მეცნიერთა ინფორმირებულობის გაზრდა, ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის იდეების, მიღწევების, ინფორმაციის გაცვლა, სამეცნიერო მიღწევების საერთაშორისო ინტეგრაცია, უახლესი კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში.
11. **ჟურნალის** განვითარებისთვის მთავარი **ამოცანებია:**

    ა) აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის **და** მკვლევარებისათვის სამეცნიერო-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა;

    ბ) ჟურნალის პოპულარიზაცია, ქართველი და უცხოელი ავტორების მოზიდვა **და** საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემათა შორის ადგილის დამკვიდრება.
12. ჟურნალი წარმოადგენს პლატფორმას მკვლევრებისთვის, რომლებიც მუშაობენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წარმოებული სამეცნიერო კვლევის შედეგებზე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, სოციოლოგიის მიმართულებით და სხვა.
13. ჟურნალი წარმოადგენს ღიად ხელმისაწვდომ გამოცემას, რაც გულისხმობს მისი შინაარსის სრულად ხელმისაწვდომობას მომხმარებლებისათვის, ყოველგვარი დამატებითი გადასახადის ან რეგისტრაციის გარეშე.
14. ჟურნალი აღიარებს და ითვალისწინებს საერთაშორისო საგამომცემლო პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას.

,,ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის

,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები'' დაფუძნების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 15 ივლისის N 01-02/120 ბრძანების

დანართი 2

,,ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის

„ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები''

სარედაქციო საბჭო

1. **ნინო ინაიშვილი** - ჟურნალის **მთავარი რედაქტორი** (ისტორიის აკადემიური დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველო);
2. **ფატი აბაშიძე - ტექნიკური რედაქტორი** (ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, საქართველო);
3. **როინ მალაყმაძე** - (ისტორიის დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით), საქართველო);
4. **დავით ყოლბაია** - (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლონეთი);
5. **ოსმანი აითექინი** (არქეოლოგიის დოქტორი, ვანის უნივერსიტეტის პროფესორი, თურქეთი);
6. **ალთუნი სუდანი** - (ფილოლოგიის დოქტორი, ყარსის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თურქეთი);
7. **დევიდი ბრაუნდი** - (ემერიტუს-პროფესორი, ექსეტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი);
8. **ელენე დიაკოვა** -(ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხარკოვის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინა);
9. **დურა ნიკოლაი** - (აკადემიკოსი, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია, რუმინეთი)
10. **დომენიკ კასაბ-თეზგორი** - (არქეოლოგიის დოქტორი, ბილკენტის უნივერსიტეტის პროფესორი, თურქეთი);

11. **მანანა კალიბექოვა** - (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვალიხანოვის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ყაზახეთი);

12. **ვინსენტი კოპეჩეკი** - (სოციოლოგიის დოქტორი, ოსტრავას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ჩეხეთი);

13. **ფრედერიკსენ მარტინ დემანტი** - (ანთროპოლოგიის დოქტორი, აარჰუსის უნივერსიტეტის პროფესორი, დანია);

ბსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის
,,ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები''

რედაქციის წევრები:

1. **ოლეგ ჯიბაშვილი** (ისტორიის დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით), საქართველო);
2. **თამილა ლომთათიძე** (ისტორიის დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით), საქართველო);
3. **ელზა ფუტკარაძე** (ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით), საქართველო);
4. **თამარ სირაძე** (ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, რექტორის მოადგილე, საქართველო);
5. **ნანა ხახუტაიშვილი** (ისტორიის დოქტორი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ბსუ-ს გამომცემლობის დირექტორი, საქართველო);
6. **რუსლან ბარამიძე** (ისტორიის დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველო);
7. **გიორგი თავამაიშვილი** - (ისტორიის დოქტორი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორი, საქართველო);
8. **ცისნამი ბერიძე** (ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი / დოქტორანტი, ბსუ-ს ნიკო

ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, საქართველო);

9. **ნათია ფუტკარაძე** (ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო);
10. **გიორგი ჭეიშვილი** - (ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო);
11. **დავით მინდორაშვილი** (ისტორიის დოქტორი, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი, საქართველო);
12. **ნერიმან ილმაზ** (ფილოლოგიის დოქტორი, რიზეს უნივერსიტეტი, თურქეთი);